

ხელშეკრულება

ხელშეკრულება სესხის პირობების განსაზღვრის შესახებ

1. ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულების მხარეთა ურთიერთობაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გამსესხებელი - შპს „სისი ლოუნ“ (ს/ნ 405060213, მის.: საქართველო, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #23-23ა, საოფისე ფართი #8ა, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული, ელ. ფოსტა: info@ccloan.ge)

ბ) გამსესხებლის ვებგვერდი - www.ccloan.ge;

გ) გამსესხებლის საბანკო ანგარიში - გამსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიში, რომელიც მითითებულია მის ვებგვერდზე;

დ) მსესხებელი - ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომელზეც გამსესხებელი გასცემს სესხს ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ე) მსესხებლის საბანკო ანგარიში - მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიში, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება იდენტიფიკაცია და რომელზეც გადაირიცხება სესხის ძირითადი თანხა;

ვ) იდენტიფიკაცია - სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ გამსესხებლის ანგარიშზე სიმბოლური თანხის (1 თეთრი) გადარიცხვა ან/და გამსესხებლის მიერ ინფორმაციის სხვა საშუალებით გადამოწმება, რომლის მიზანია მსესხებლისა და მისი ანგარიშსწორების ანგარიშის იდენტიფიცირება;

ვ.1) eMoney ანგარიში - eMoney-ს ვერიფიცირებული ანგარიში, სადაც მსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე (რაც ფიქსირდება სასესხო განაცხადის შევსებისას შესაბამისი ველის მონიშვნით) შესაძლებელია სესხის თანხის ასახვა 1 თეთრის ჩარიცხვის გარეშე;

ზ) სესხის ხელშეკრულება - გამსესხებელსა და მსესხებელს შორის ელექტრონული ან სტანდარტული ფორმით დადებული წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, ასევე გამსესხებლის ვებგვერდზე განთავსებულ სტანდარტულ სახელშეკრულებო პირობებს და რომლის დადებაზე ნების გამოვლენაც მსესხებლის მიერ, მისი შინაარსის გაცნობის შემდგომ, ხდება ელექტრონულად (გამსესხებლის ვებგვერდზე შესაბამისი ველის მონიშვნით, რაც ავტომატურად უთანაბრდება მსესხებლის ხელმოწერას და მსესხებელი იბოჭება მის მიერ ამ ფორმით გამოვლენილი ნებით) ან სესხის განაცხადის ამობეჭდილ ვერსიაზე ხელმოწერით;

თ) მოწვევა ოფერტზე - გამსესხებლის მიერ სესხის გაცემის სტანდარტული პირობების ან/და ამ ხელშეკრულების საკუთარ ვებგვერდზე განთავსება;

ი) ოფერტი - მსესხებლის მიერ სასესხო განაცხადის შევსება, რომლითაც დასტურდება მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულების გაცნობისა და დათანხმების, ასევე გამსესხებლის მიერ შეთავაზებულ სტანდარტულ პირობებზე დათანხმების ფაქტი;

კ) სასესხო განაცხადი - მსესხებლის მიერ ელექტრონულად, გამსესხებლის ვებგვერდის საშუალებით შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს მითითებას სესხის ოდენობასა და ვადაზე;

ლ) აქცეპტი - გამსესხებლის მიერ სესხის გაცემის შესახებ საპასუხო ნების გამოვლენა, რაც დასტურდება მსესხებლის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე სესხის არსებითი პირობების შესახებ ინფორმაციის გაგზავნით და მსესხებლის საბანკო ან eMoney ანგარიშზე სესხის ძირითადი თანხის გადარიცხვით. სესხის ხელშეკრულება დადებულიად ითვლება მსესხებლის საბანკო ან eMoney ანგარიშზე სესხის ძირითადი თანხის გადარიცხვის მომენტიდან;

მ) სესხის ძირითადი თანხა - თანხა, რომელიც გაიცემა მსესხებელზე დარიცხული საკომისიოს (პროცენტის) და პირგასამტეხლოს გაუთვალისწინებლად;

ნ) საკომისიო - გამსესხებლის ვებგვერდზე მითითებული საპროცენტო სარგებელი, რომელიც ერიცხება სესხის ძირითად თანხას და რომლის გამსესხებლისთვის გადახდის ვალდებულებაც მსესხებელს წარმოეშობა სესხის ძირითადი თანხის დაბრუნებასთან ერთად;

ო) პირგასამტეხლო - მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც გამოიყენება მსესხებლის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და გადაიხდება მსესხებლის მიერ სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

პ) სესხის გახანგრძლივების საკომისიო - მომსახურების საფასური, რაც გადაიხდება სესხის გახანგრძლივებისთვის;

ჟ) დავალიანება - მსესხებლის მიერ გამსესხებლის წინაშე შესასრულებელი ფულადი ვალდებულება სესხის ძირითადი თანხის, დარიცხული საკომისიოს (პროცენტის) და პირგასამტეხლოს, ასევე ასანაზღაურებელი ხარჯების ჩათვლით;

რ) სესხის ვადა - გამსესხებლის ვებგვერდზე მითითებული სტანდარტული ვადებიდან მსესხებლის მიერ სასესხო განაცხადში მითითებული და გამსესხებლის საპასუხო ნების გამოვლენით დადასტურებული ვადა;

ს) სესხის დაბრუნების თარიღი - სესხის ვადის ბოლო დღე, როდესაც მსესხებელს წარმოეშობა აღებული სესხის უკან დაბრუნების ვალდებულება;

ტ) სესხის გახანგრძლივება - გამსესხებლის თანხმობით სესხის ვადის გაგრძელება მსესხებლის მიერ საკომისიოს გადახდის შემდგომ.

2. სესხის გაცემის ზოგადი პირობები

2.1. სასესხო განაცხადის შევსებით მსესხებელი ადასტურებს, რომ:

ა) არის ფიზიკური პირი 18-დან 65 წლამდე;

ბ) არის ქმედუნარიანი, არ იმყოფება ნარკოტიკული, ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ, აცნობიერებს ნების გამოვლენის შინაარსს და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებს;

გ) აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე და ითვლება საქართველოს რეზიდენტად საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;

დ) არ აქვს შეუსრულებელი ან ვადაგადაცილებული ვალდებულებები გამსესხებლის ან/და მესამე პირის მიმართ;

ე) არ არის დარეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

ვ) არ გააჩნია უარყოფითი საკრედიტო ისტორია და არ არსებობს ისეთი ვალდებულებები, რომლებიც უარყოფითად აისახება მის გადამხდელუნარიანობაზე;

ზ) გაეცნო ამ ხელშეკრულების პირობებს და ეს პირობები არის მისთვის მისაღები;

თ) მის მიერ მითითებული ყველა მონაცემი არის ზუსტი.

2.2. სასესხო განაცხადის შევსების შემდგომ სესხის გაცემამდე, ასევე მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მომსახურების გაწევის, მსესხებლის გადახდისუნარიანობის ან/და გამსესხებლის მიერ თავისი უფლებ(ებ)ის დაცვის მიზნებისთვის, გამსესხებელი უფლებამოსილია მოიძიოს/გადაამოწმოს მსესხებლის მიერ მითითებული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის: სამუშაო ადგილი, პოზიცია, შემოსავლები, საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, საიდენტიფიკაციო და სხვა პერსონალური მონაცემები. მსესხებელი აცნობიერებს, რომ მცდარი ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა გახდეს სესხის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

2.3. გამსესხებელი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია გადაამოწმოს „კრედიტინფო საქართველოს“, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და სხვა მონაცემთა ბაზებში, ასევე მსესხებლის მიერ მითითებულ საკონტაქტო პირებთან, დამსაქმებელთან/დამქირავებელთან უშუალოდ დაკავშირებით ან/და სხვა საშუალებით.

3. სესხის გაცემა

3.1. სესხის მისაღებად მსესხებელი ავსებს სასესხო განაცხადს. სასესხო განაცხადის შევსებით მსესხებელი ადასტურებს, რომ გაეცნო წინამდებარე ხელშეკრულებას და გამსესხებლის ვებგვერდზე განთავსებულ სტანდარტულ სახელშეკრულებო პირობებს, ეს პირობები მისთვის მისაღებია და იგი ავლენს სესხის ხელშეკრულების დადების ნებას ამ პირობებით.

3.2. სესხის განაცხადის შევსების შემდგომ გამსესხებელი იღებს გადაწყვეტილებას სესხის გაცემის თაობაზე. გამსესხებელი უფლებამოსილია, უარი თქვას სესხის გაცემაზე და აცნობოს ამის შესახებ მსესხებელს. გამსესხებელი არ არის ვალდებული დაასაბუთოს უარის თქმის მიზეზები.

3.3. სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ გამსესხებელი მსესხებელს, მის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე, უგზავნის ინფორმაციას სესხის არსებითი პირობების შესახებ და ახდენს იდენტიფიკაციას (მსესხებლისა და მისი ანგარიშსწორების ანგარიშის იდენტიფიცირების მიზნით მსესხებელი ახდენს გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე სიმბოლური თანხის (1 თეთრი) გადარიცხვას ან/და ხდება გამსესხებლის მიერ ინფორმაციის სხვა საშუალებით, მათ შორის eMoney ანგარიშის მეშვეობით, გადამოწმება).

3.4. იდენტიფიკაციის შემდგომ გამსესხებელი ახდენს სესხის ძირითადი თანხის მსესხებლის საბანკო ან eMoney ანგარიშზე გადარიცხვას. გადარიცხვის განხორციელების მომენტიდან სესხი გაცემულად ითვლება და მსესხებლის ანგარიშზე თანხის დაგვიანებით ასახვის რისკი მსესხებლის მხარეზეა.

3.5. სესხის გაცემასთან ერთად მსესხებელს უზრუნდება მის მიერ იდენტიფიკაციისთვის გადახდილი თანხა (1 თეთრი)

3.6. იდენტიფიკაცია ხორციელდება მხოლოდ პირველი სესხის აღების დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მსესხებლის საბანკო ანგარიშის ცვლილება.

3.7. გამსესხებელი უფლებას იტოვებს, ცალმხრივად მოახდინოს საკომისიოს (პროცენტის) შემცირება (დაგეგმილი აქციების ან სხვაგვარი სარეკლამო აქტივობების პერიოდში) და აღნიშნული ცვლილება არ საჭიროებს მხარეთა შორის დამატებით შეთანხმებას.

4. გადახდის პირობები

4.1. სესხის ძირითადი თანხა და საკომისიო (პროცენტი) გადაიხდება სესხის ვადის ბოლო დღეს.

4.2. გადახდები ხორციელდება გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, სწრაფი გადახდის აპარატების გამოყენებით, ელექტრონული გადახდის საშუალებებით, რაც ასახულია გამსესხებლის ვებგვერდზე.

4.3. მსესხებლის იდენტიფიცირების მიზნით, მსესხებელი ვალდებულია, უზრუნველყოს თანხის გადახდის დანიშნულებაში მსესხებლის პირადი ნომრის მითითება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხის გადახდა ხდება გამსესხებლის ვებგვერდის გამოყენებით.

4.4. გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში მსესხებლის ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მომენტიდან გამსესხებლის სამუშაო დროის (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე, ხოლო შაბათს 10:00 სთ-დან 14:00 სთ-მდე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უქმე დღეებისა) გათვალისწინებით, კერძოდ, თუ გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე თანხა ჩაირიცხა არასამუშაო დროს, მისი ასახვა მოხდება მომდევნო სამუშაო დღეს და მსესხებლის ვალდებულება შესრულებულად არ ჩაითვლება. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება გადახდის სხვა საშუალებების გამოყენებისას, რომელთა დროსაც მსესხებლის ვალდებულებები შესრულებულად ითვლება შესაბამისი ოპერაციის წარმატებით დასრულების დადასტურების შემთხვევაში.

4.5. მსესხებლის მიერ გადახდილი თანხებით პირველ რიგში იფარება ასანაზღაურებელი ხარჯები, შემდეგ პირგასამტეხლო, შემდეგ საკომისიო (პროცენტი) და ბოლოს სესხის ძირითადი თანხა. თუ გადახდილი თანხები საკმარისი არ არის საკომისიოს (პროცენტის) და სესხის ძირითადი თანხის დასაფარად, შეუსრულებელ ნაწილში გრძელდება პირგასამტეხლოს დაკისრება.

4.6. თუ გამსესხებელი იღებს გადახდას, რომლის იდენტიფიცირებაც შეუძლებელია, იდენტიფიკაციის მომენტამდე მსესხებლის ვალდებულება გამსესხებლის წინაშე შესრულებულად არ ჩაითვლება და გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელს დააკისროს პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

4.7. გადახდები ხდება სესხის ძირითადი თანხის ვალუტაში. სხვა ვალუტაში თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში მსესხებლის ვალდებულება გამსესხებლის წინაშე შესრულებულად არ ჩაითვლება. ამასთან, დაუშვებელია გამსესხებლისთვის აღნიშნულ თანხაზე რაიმე სახის სარგებლის მოთხოვნა.

4.8. სესხი დაფარულად ჩაითვლება და სასესხო ურთიერთობა წყდება სესხის ძირითადი თანხის, მასზე დარიცხული საკომისიოს (პროცენტის), პირგასამტეხლოსა და ასანაზღაურებელი ხარჯების

შესაბამისი თანხის (არსებობის შემთხვევაში) სრულად გადახდის შემთხვევაში. თანხის ნაწილობრივი გადახდა არ ითვლება ვალდებულების შესრულებად და შეუსრულებელ ნაწილში გრძელდება პირგასამტეხლოს დაკისრება.

4.9. თუ სესხის სრულად დაფარვის შემდეგ აღმოჩნდება, რომ მსესხებლის მიერ ზედმეტად გადახდილია თანხა, მოქმედებს შემდეგი წესები:

ა) თუ ზედმეტად გადახდილი თანხის ოდენობა არ აღემატება 20 ლარს, გამსესხებელი 10 დღის განმავლობაში მსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში აბრუნებს თანხას. 10 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ ზედმეტად გადახდილი თანხა განიხილება როგორც საკომისიო და გადადის გამსესხებლის საკუთრებაში;

ბ) თუ ზედმეტად გადახდილი თანხის ოდენობა აღემატება 20 ლარს, გამსესხებელი აბრუნებს თანხას ჩარიცხვიდან 3 დღის განმავლობაში.

5. სესხის გახანგრძლივება

5.1. მსესხებელს აქვს სესხის ვადის გაგრძელების უფლება. სესხის ვადის გაგრძელება შესაძლებელია 5-დან 30 დღემდე 5 დღიანი ინტერვალებით. სესხის ვადის გაგრძელება შესაძლებელია შეუზღუდავი რაოდენობით.

5.2. სესხის ვადის გაგრძელებისთვის მსესხებელი იხდის საკომისიოს, რომელიც მითითებულია გამსესხებლის ვებგვერდზე და რომელიც გამოითვლება სესხის ძირითადი თანხიდან სესხის ვადამდე ნაწილობრივი დაფარვის გაუთვალისწინებლად. მსესხებელი ვალდებულია მიუთითოს გადახდის დანიშნულება - „გადავადება“, ასევე მიუთითოს სესხის გახანგრძლივების ვადა.

6. სესხის ვადამდე დაფარვა

6.1. მსესხებელი უფლებამოსილია მოახდინოს სესხის ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა.

6.2. სესხის ვადამდე სრულად დაფარვის შემთხვევაში მსესხებელი იხდის სესხის ძირითად თანხას და საკომისიოს (პროცენტს) დღეების რაოდენობის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხის ვადამდე სრულად დაფარვა ხდება სესხის გაცემიდან 5 დღის განმავლობაში. ამ შემთხვევაში მსესხებელი იხდის 5 დღის საკომისიოს (პროცენტს).

6.3. მსესხებელი არ არის ვალდებული აცნობოს გამსესხებელს წერილობით ან სხვა ფორმით სესხის ვადაზე ადრე სრულად დაფარვის შესახებ. მთლიანი გადახდა ადასტურებს მსესხებლის სურვილს, განახორციელოს სესხის ვადამდე სრულად დაფარვა.

6.4. სესხის ვადამდე ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში გადახდილი თანხით ხდება საკომისიოს (პროცენტის) დაფარვა დღეების რაოდენობის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხის ვადამდე ნაწილობრივ დაფარვა ხდება სესხის გაცემიდან 5 დღის განმავლობაში. ამ შემთხვევაში მსესხებელი იხდის 5 დღის საკომისიოს (პროცენტს). საკომისიოს (პროცენტის) დაფარვის შედეგად დარჩენილი თანხა აკლდება სესხის ძირითად თანხას და საკომისიოს (პროცენტის) დარიცხვა გრძელდება თავდაპირველ ძირზე, სესხის გაცემის მე-6 დღიდან.

6.5. თუ თანხის გადახდისას არ არის მითითებული გადახდის დანიშნულება, ამასთან სესხი არ იმყოფება ვადაგადაცილებაში, ხდება სესხის ვადამდე ნაწილობრივ დაფარვა, თუ მსესხებლის მხრიდან სხვაგვარ მითითებას არ ექნება ადგილი.

6.6. თუ თანხის გადახდისას არ არის მითითებული გადახდის დანიშნულება, ამასთან სესხი იმყოფება ვადაგადაცილებაში, მსესხებლის ინტერესებიდან გამომდინარე, გადახდილი თანხა განიხილება როგორც სესხის გახანგრძლივების საკომისიო და ხდება სესხის გახანგრძლივება იმ პერიოდით, რისთვისაც საკმარისია შეტანილი თანხა, ხოლო დარჩენილი თანხით ხდება სესხის ვადამდე ნაწილობრივ დაფარვა, თუ მსესხებლის მხრიდან სხვაგვარ მითითებას არ ექნება ადგილი.

7. სხვა სესხის აღება

7.1. სესხის სრულად დაფარვის შემდგომ მსესხებელს აქვს გამსესხებლის ვებგვერდზე მოცემული სხვა სესხების აღების შესაძლებლობა.

7.2. ახალი სასესხო განაცხადის შევსებით მსესხებელი ეთანხმება სასესხო განაცხადის შევსების დღეს ვებგვერდზე არსებულ პირობებს და აცნობიერებს, რომ ყველა შემდგომ აღებულ სესხზე გავრცელდება სესხის აღების მომენტში მოქმედი ხელშეკრულების დებულებები.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება წყდება, თუ სესხი იმყოფება ჯამურად 60 დღიან ვადაგადაცილებაში (სესხის გახანგრძლივება არ იწვევს დაგროვებული ვადაგადაცილებული დღეების გაუქმებას). ამ შემთხვევაში მსესხებელს ეკისრება პირგასამტეხლო სესხის დარჩენილი ძირითადი თანხის 60%-ის ოდენობით.

8.2. გამსესხებელს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

ა) გამსესხებელი იღებს ინფორმაციას, რომ მსესხებლის მიმართ მიმდინარეობს სამართალწარმოება, რომლის მიხედვითაც მას ეკისრება მატერიალური ხასიათის ვალდებულება, რომლის ღირებულებაც აღემატება სესხის თანხას, ან მსესხებელი მოხვდა მოვალეთა რეესტრში და ვალი აღემატება სესხის თანხას ან/და მსესხებელი დაპატიმრებულია;

ბ) გამსესხებელი იგებს, რომ ხელშეკრულების დადებისას მსესხებელმა მიაწოდა არასწორი ინფორმაცია;

გ) მსესხებელი გახდა გადახდისუუნარო.

8.3. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია სრულად დაფაროს დავალიანება დარიცხული საკომისიოს (პროცენტის) და პირგასამტეხლოს ჩათვლით.

9. მოთხოვნის დაკმაყოფილება

9.1. გამსესხებელი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი აღსრულების მეთოდი (საშუალება) და გამოიყენოს ის მეთოდი (საშუალება), რასაც მიზანშეწონილად მიიჩნევს თავისი მოთხოვნის ყველაზე უკეთ და სწრაფად დაკმაყოფილებისათვის.

9.2. გამსესხებელი უფლებამოსილია მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით განახორციელოს ვიზიტი მსესხებლის მისამართზე, ასევე გადასცეს მესამე პირს სესხის ამოღების, პირადი მონაცემების გადაამუშავების და ამ მონაცემების საჯარო ბაზაში განთავსების უფლება.

9.3. მესამე პირებს, ამ ხელშეკრულების 9.2. პუნქტის შესაბამისად შესაძლოა გადაეცეთ მსესხებლის პირადი მონაცემები, მათ შორის : სახელი; გვარი; პირადი ნომერი; დაბადების

თარიღი; მისამართი; ელექტრონული ფოსტის მისამართი; ტელეფონის ნომერი; საკონტაქტო ინფორმაცია; სამუშაო ადგილი; პოზიცია; ანაზღაურება; საბანკო ანგარიშის ნომერი; საკრედიტო ისტორია; სასესხო განაცხადები და სხვა ინფორმაცია, რომელიც მსესხებელმა სარეგისტრაციო ან/და სასესხო განაცხადის ველში შეავსო ან დაფიქსირდა, ასევე ინფორმაცია რომელიც მსესხებელმა სხვა ფორმით მიაწოდა გამსესხებელს ან რომელიც გამსესხებლისთვის ცნობილი გახდა.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არღვევს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს სესხის, დარიცხული პროცენტის ან/და პირგასამტეხლოს დროულად დაფარვასთან მიმართებაში, გამსესხებელი იტოვებს უპირობო უფლებას მსესხებლის შესახებ ან/და მსესხებელთან დაკავშირებული გამსესხებლისათვის ცნობილი ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს შპს „ფინანსურ ბიუროს“ (ს/კ 419995599), შპს „ფინანსური მედიაციის ბიუროს“ (ს/კ 405155852), შპს „მედიატორს“ (ს/ნ 405027322), შპს პრობლემური აქტივების მართვის სააგენტოს (ს/კ 402008554), შპს „PROFESSIONAL LEGAL CONSULTING“-ს (ს/კ 404995779), შპს „აუტოსორსს“ (ს/ნ404912537), შპს „კრედიტ ინფო თბილისს“ (ს/კ 402028603) და სხვა კომპანიებს, სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, არსებული დავალიანების ამოღების მიზნებისათვის.

10. პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევა იწვევს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

10.2. მსესხებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებაში მოცემული ყველა პირობა და გადახდების შეყოვნებასთან დაკავშირებულ და სხვა შემთხვევით რისკებს იღებს საკუთარ თავზე.

10.3. მსესხებელი პასუხს აგებს გამსესხებლის ვებგვერდზე დარეგისტრირებისას მითითებული ინფორმაციის, ასევე ყველა იმ ინფორმაციის სიზუსტეზე, რომელიც მიაწოდა გამსესხებელს.

10.4. სესხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მსესხებელს ეკისრება სესხის დარჩენილი ძირითადი თანხის 1.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილების მე-2 დღიდან. ვადის გადაცილებისათვის დაკისრებული თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

10.5. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

10.6. ფორსმაჟორი არის მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

10.7. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.8. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

11.1. გამსესხებელი მისი კანონიერი ინტერესის დაცვის, მომსახურების გაწევის, მის მიმართ არსებული ვალდებულებების აღრიცხვის და შესრულების უზრუნველყოფის მიზნებისთვის უფლებამოსილია დაამუშავოს მსესხებლის მონაცემები (შეგროვება, შენახვა, შეყვანა, დარეგისტრირება, გადაცემა და სხვა), კერძოდ: სახელი; გვარი; პირადი ნომერი; დაბადების თარიღი; მისამართი; ელექტრონული ფოსტის მისამართი; ტელეფონის ნომერი; საკონტაქტო ინფორმაცია; სასესხო განაცხადის/რეგისტრაციის გაკეთებისას დაფიქსირებული IP მისამართი; სამუშაო ადგილი; პოზიცია; ანაზღაურება; საბანკო ანგარიშის ნომერი; საკრედიტო ისტორია; სასესხო განაცხადები და სხვა ინფორმაცია, რომელიც მსესხებელმა სარეგისტრაციო ან/და სასესხო განაცხადის ველში შეავსო ან დაფიქსირდა, ასევე ინფორმაცია რომელიც მსესხებელმა სხვა ფორმით მიაწოდა გამსესხებელს ან რომელიც გამსესხებლისთვის ცნობილი გახდა. გამსესხებელი უფლებამოსილია აღნიშნული ინფორმაცია გადასცეს მესამე პირს და მიიღოს მისგან მსესხებელზე ინფორმაცია.

11.1'. გამსესხებლისთვის მსესხებლის მიერ სარეგისტრაციო ფორმის შევსებით, სასესხო განაცხადით, სატელეფონო საუბრით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ნებისმიერი ფორმით ინფორმაციის მიწოდება განიხილება, როგორც მსესხებლის თანხმობა ამ მონაცემების გამსესხებლის მხრიდან დამუშავების თაობაზე.

11.2. ამ ხელშეკრულებით მსესხებელი გამსესხებელს ანიჭებს უპირობო უფლებას მსესხებლის შესახებ ინფორმაცია მსესხებელთან დამატებითი შეთანხმების გარეშე გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს“ (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეგისტრაციის #06/5-51), რაც იწვევს მსესხებლის აღრიცხვას სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში, რომლის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია გადაუხდელი სესხებისა და სხვა შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან და ასევე ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გავრცელება ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და გადახდილი სესხების/ვალდებულებების შესახებ.

11.3. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ საკომისიოს (პროცენტს), მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს.

11.3'. ამ ხელშეკრულებით მსესხებელი აცხადებს უპირობო თანხმობას, რომ სს „კრედიტინფო საქართველომ“ გადასცეს გამსესხებლის მიერ მიწოდებული მსესხებელთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია იმ პირებს, რომლებთანაც სს „კრედიტინფო საქართველოს“ დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აღნიშნული ხასიათის მონაცემების გადაცემასთან დაკავშირებით.

11.4. გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელზე ინფორმაცია გადასცეს სხვა კრედიტორებს, მათი უფლებების დასაცავად.

11.5. მსესხებელი უფლებამოსილია, მიმართოს გამსესხებელს და მიიღოს გამსესხებლის ხელმოწერით დადასტურებული ხელშეკრულება.

11.6 მსესხებელი თანხმობას აცხადებს გამსესხებლის მიერ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის დამუშავდეს მისი მონაცემები, კერძოდ: სახელი; გვარი; სქესი; პირადი ნომერი; დაბადების თარიღი; ასაკი; მისამართი; გამსესხებლის საიტზე რეგისტრაციის დრო; საკონტაქტო

ინფორმაცია; სასესხო განაცხადის/რეგისტრაციის გაკეთებისას დაფიქსირებული IP მისამართი; გაკეთებული სასესხო განაცხადები; საკრედიტო ისტორია; სესხის ალების და დაფარვის თარიღი; სამუშაო ადგილი; პოზიცია; შემოსავალი; ტელეფონის ნომერი; ელექტრონული ფოსტის მისამართი და სხვა ინფორმაცია, რომელიც მსესხებელმა სარეგისტრაციო ან/და სასესხო განაცხადის ველში შეავსო ან დაფიქსირდა, ასევე ინფორმაცია რომელიც მსესხებელმა სხვა ფორმით მიაწოდა გამსესხებელს ან რომელიც გამსესხებლისთვის ცნობილი გახდა.

12. შეტყობინება

12.1. მსესხებელს შეტყობინება, მათ შორის სარეკლამო ხასიათის, შესაძლოა გაეგზავნოს:

ა) მის მიერ მითითებულ მისამართზე;

ბ) ელექტრონული ფოსტის მისამართზე;

გ) მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით.

12.2. მსესხებლის მიერ მითითებულ მისამართზე შეტყობინების ჩაბარება შესაძლებელია ყოველდღე, 09:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ დროს შესაბამის მისამართზე არ იმყოფება არცერთი პირი ან პირი უარს აცხადებს შეტყობინების ჩაბარებაზე.

12.3. შეტყობინების ჩაბარების მიზნებისათვის უფლებამოსილ პირად ითვლება ნებისმიერი პირი მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ის თუ არა უშუალოდ მსესხებელს ან მისი ოჯახის წევრს. ამ პირისთვის შეტყობინების გადაცემა ითვლება მსესხებლისთვის შეტყობინების ჩაბარებად.

12.4. მსესხებელი, ყოველდღე, 09:00 სთ-დან 24:00 სთ-მდე, უზრუნველყოფს ელექტრონული ფოსტითა და მობილური ტელეფონის საშუალებით შეტყობინების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ამ დროის განმავლობაში გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნის მომენტიდან.

12.5. პუნქტით გათვალისწინებულ საშუალებებს შორის არჩევის უფლება აქვს გამსესხებელს. გამსესხებელი უფლებამოსილია შეტყობინების გაგზავნისათვის გამოიყენოს ერთ-ერთი, რამდენიმე ან ყველა საშუალება. ამასთან, ერთ-ერთი საშუალების გამოყენებით შეტყობინების ჩაბარება საკმარისია შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის და მსესხებელი არ არის უფლებამოსილი დაეყრდნოს იმ ფაქტს, რომ გამსესხებელმა ჩაბარების მცდელობა არ განახორციელა რამდენჯერმე ან რამდენიმე თუ ყველა საშუალებით.

12.6. მსესხებელი ადასტურებს, რომ თანახმაა გამსესხებელთან ელექტრონული ფორმით სესხის ხელშეკრულების დადების შემდგომ მიიღოს ანგარიშსწორება და მიმოწერა ელექტრონულად, დოკუმენტაციაზე პირდაპირი მექანიკური გზით ხელმოწერის გარეშე. მსესხებელი ინფორმირებულია, რომ გამსესხებლის მიერ წარდგენილი ანგარიში ატარებს საინფორმაციო ხასიათს და მისი მიუღებლობა არ გულისხმობს სესხის თანხის ძირითადი თანხის, გადასახდელი საკომისიოს (პროცენტის) ან პირგასამტეხლოს გადაუხდებლობას.

12.7. თუ იცვლება მსესხებლის მიერ მითითებული ანგარიში ან ხელშეკრულებაში მითითებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის საკონტაქტო მონაცემები, მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ გამსესხებელს და მიაწოდოს ყველა შეცვლილი ინფორმაცია. საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მსესხებლის საკონტაქტო მონაცემებზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება მსესხებლის მიერ მიღებულად.

12.8. ნებისმიერი შეტყობინება გამსესხებლის მიერ მიღებულად ჩაითვლება, თუ ის შედგენილია წერილობით და ბარდება გამსესხებელს მისამართზე ან იგზავნება გამსესხებლის ელექტრონული ფოსტის მისამართზე, გარდა შეტყობინებისა, რომელიც ეხება მსესხებლის მიერ სარეკლამო ხასიათის შეტყობინებების მიღებაზე უარის თქმას. ამ მიზნით გამოიყენება სპეციალური ნომერი, რომლის თაობაზეც გამსესხებელი ატყობინებს მსესხებელს მობილურ ტელეფონზე გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS).

13. უფლებამონაცვლეობა

13.1. გამსესხებელი უფლებამოსილია, მსესხებლის თანხმობის გარეშე, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს.

13.2. მსესხებელი, გამსესხებლის წერილობითი თანხმობის გარეშე, არ არის უფლებამოსილი ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები გადასცეს ან ვალდებულებები გადააკისროს სხვა პირს.

13.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეობაზე.

14. დავების გადაწყვეტა

14.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 11 ნაწილის საფუძველზე.

14.3. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სრულად ბათილობას.

შეტანილი ცვლილებები:

1. 03/11/2014 – დაემატა 4.9 ქვეპუნქტი;

2. 06/03/2015 - დაემატა 9.3 – 9.8 ქვეპუნქტები; შეიცვალა მე-14 პუნქტი;

3. 02/10/2015 - პირველ პუნქტს დაემატა „ვ1“ ქვეპუნქტი; შეიცვალა პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი, 3.3 – 3.4 ქვეპუნქტები; ამოღებული იქნა 9.3 – 9.8 ქვეპუნქტები; შეიცვალა მე-14 პუნქტი.

4. 24/11/2016 - შეიცვალა 2.2 ქვეპუნქტი; დაემატა 2.3 ქვეპუნქტი; შეიცვალა 9.2 ქვეპუნქტი; დაემატა 9.3 ქვეპუნქტი; დაემატა 9.4 ქვეპუნქტი; შეიცვალა 11.1 ქვეპუნქტი; დაემატა 11.1¹. ქვეპუნქტი; დაემატა 11.3¹ ქვეპუნქტი; დაემატა 11.6 ქვეპუნქტი.